



მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 519 სოთხაბათი, ივლისის 12 1923 წ.

უმაღლესი საბჭო

ფასი 50,000

შეთანხმდნენ

8 თვეს გაგრძელდა ლოზანაში დავა და ვაჭრობა ოსმალეთის შესახებ. როგორც უკანასკნელი დეკრეტები გადმოგვცემენ ბოლოს შეთანხმებასაც მი-აღწიეს და ხელშეკრულება მზადაა სარატიფიკა-ციოდ.

რა იყო სადავო და რაში შეთანხმდნენ. ლოზანას კონფერენციაზედ ირჩეოდა ორი მთავარი საკითხი: ოსმალეთის ვალდებისა და კონ-ცესიების. პირველი ეხებოდა საფრანგეთს, მეორეთ დაინტერესებული იყო ინგლისი.

საფრანგეთი გადაჭრით მოითხოვდა, რომ ოს-მალეთმა ოქროს ვალუტით გადაიხადოს საფრან-გეთის ვალდებობა, რაზედაც ოსმალეთი კატეგორიულ უარს აცხადებდა, შეთანხმდნენ კომპრომისზედ: ოს-მალეთი თითონ უნდა შეეთანხმნენ ყოველ კერძო შემთხვევაში თავის მეგობარს, თუ რომელი ვალუ-ტით გადაიხადოს მან ვალი. ამ რიგად საფრანგე-თის პრეტენზიები არ იქნა დაკმაყოფილებული და პულკარე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, თუმ-ცა არც ის შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთი გა-მარჯვებულია და ოქროს ვალუტით ვალს არავის გადაუხდისო. რასაკვირველია ოსმალეთი იძულებუ-

ლი იქნება დიდი ნაწილი მაინც თავის ვალისა ოქ-როთი გადაიხადოს.

რაც შეეხება კონცესიების საკითხს, ეს ინ-გლისის ინტერესებს წარმოადგენს. ინგლისი მოით-ხოვდა ოსმალეთის ნავთიანს ადგილებზე კონცესი-ების უზრუნველყოფას თავისთვის და კიდევაც მია-ღწია ამ მიზანს ლოზანას კონფერენციაზედ. ამ რი-გად ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა და შეუდ-გება ოსმალეთში თავის საქმის კეთებას.

ცნობილია, რომ ინგლისის მიერ საკონცე-სიით აღებული საქმე უფრო სამხედრო ბანაკს წა-რმოადგენს, ვინემ სამრეწველო ცენტრს. ჯერ ინ-გლისი გაამარჯრებს აღებულ ადგილს, შეიარაღებს თავისებურად და შემდეგ მოჰკიდებს ხელს წარმო-ებას.

ასეთი ხასიათისაა ინგლისის კონცესიები, მაგ. სპარსეთში და ამიტომ იქ ინგლისის გავლენა ემ-ყარება არა მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესებს, არამედ ასეთ შეიარაღებულ სამხედრო ძალებს.

ასეთივე იქნება ინგლისის კონცესიები ოსმა-ლეთშიც, სანამ იქ საბოლოოდ არ გაიმარჯვებს მშ-რომელი მასა და ბოლოს არ, მოუღებს, როგორც ლორდების, ისე ფაშების პოლიტიკას.

ქართული და რუსული კონსერვატორია

ბევრი რამ გაუგებრობა ხდება კურთხეულს ჩვენს ქვეყანაში; ქართველმა საზოგადოებამ, ფართე მშრომელმა მასამ, ბევრი რამ არ იცის, არ იცის რა ჰხდება იმ ზღუდეს იქით, რომელიც ჩინეთის კედელივით აქვს შემოვლებული ამა თუ იმ კულ-ტურულ დაწესებულებას, ბევრის ქინიანობას ით-მენს ქართული, ბევრმა გამოაცხადა თავისი სურ-ვილები ანსოლოტურ კანონებით და თავს მოახვია ქართველ საზოგადოებას; ანგარიში არაფერს უწევთ, ყველაფერი ნორმალურ მოვლენად მიგვჩნია; ასეთს მორჩილებას შეგვაჩენია ასის წლის ცარიზმის ბრძა-ნებლობამ. ჭედზედ უღელ დადებულნი ამ ფონს გა-ვედით, მეფეების სასტიკმა რეაქციამ ვერ ჩაგვხარო შეგების სიამ და ღამებზე, ვეფქობდ, დროა პირს კლიტე მოვიხსნათ და ქეშმარიტებას ვათქმევინოთ სიმართლე.

ამ ბოლოს დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამო-იწვია ქართველ საზოგადოებაში მთავრობის გარდ-წყვეტილებამ ევრთ წოდებულ ქართულისა და რუ-სული კონსერვატორიების შეერთების შესახებ. მთა-ვრობის მიერ კატეგორიულად წამოყენებულმა სა-კითხმა ამ სასწავლებლების შესახებ მიუყრებელი ბანაკი ქართული საზოგადოებისა ორათ გაჰყო და აი, გაჩნდა მითქმა-მოთქმა; რასაკვირველია, არც ერთი არ მალავდა თავის უპაყოფილებას მეორი-სადმი, მათთვის ერთი იყო სიმპატიური დაწესებუ-ლება, მეორე ანტიპატიური, ხოლო ამ დაწესებულე-ბების სულის ჩამდგმელნი-კი კანონიერად სთვლი-დნენ თავისი თავის წარმოშობასაც, არსებობასაც.

ამ წუთას ჩვენთვის საჭირო არ არის ვიცო-დეთ, საზოგადოების რომელი ნაწილი იყო მართა-ლი და რომელი მტყუნის, რომელი სასწავლებელი იყო ანტიპატიური და რომელი სიმპატიური; ჩვენ გვინდა გავითვალისწინოთ ცოტად მაინც, რამ წარ-მოშვა ჩვენს დედა ქალაქში ორი სწორუფლებიანი ერთი და იგივე ტიპის დაწესებულება და მოითხოვ-და ან ამართლებდა გარემოება ერთის მეორესთან მგზობლად არსებობას. აი ამ კითხვების ნათელყო-ფაა საჭირო.

მოკლედ გავიხსენოთ ისტორია: 1918 წელს გამოეყო ამიერ კავკასია და კერძოთ საქართველო რუსეთს, ამასთან ერთად მოჰხდა საქართველოში ლიკვიდაცია რუსეთის დაწესებულებებისაც. რუსე-თის მუსიკალურ საზოგადოებასაც ჰქონდა ჩვენში თავისი განყოფილება; თუმცა იგი კერძო ინიცია-ტივით იყო რუსეთში აღმოცენებული, მაგრამ არ-სებითად მისი მართვა გამგეობა თვითმპყრობელო-ბის ბიუროკრატიულ მთავრობის ხელში იყო მთლი-ანად გადასული; იგი უდგამდა ამ საზოგადოებას სულს, მთავრობის ხელში იყო საზოგადოების გან-ყოფილებებიც, იგი ინიშნავდა თავის წარმომადგენ-ლებს ამ განყოფილებების მმართველად, რომელნიც ბიუროკრატიის სურვილებითა და უფლებებით იყ-ვნენ აღჭურვილნი. თუმცა რუსეთის მუსიკალურ საზოგადოებას, როგორც კერძო ინიციატივით აღ-მოცენებულს, შეეძლო ხრკები მოეღო და მოეთხო-ვა იურიდიულად თავისი განყოფილების არსებო-ბა განთავისუფლებულ საქართველოში მაგრამ ამის-თანა არსებობისთვის ერთი პირობა იყო საჭირო: რადგანაც რუსეთის თვითმპყრობელობამ ააღა-ვად უღელ ახსნილ საქართველოში თავისი დახლი, ამი-ტომ რუსულ მუსიკალურ საზოგადოების ტფილისის განყოფილებასა და მის სასწავლებელშიაც ფართედ უნდა გაღებულყო ქართველი მასისთვის კარი, მძლავრათ უნდა შეჭრილიყო აქ ქართველი ერის

სურვილები და სულის კვეთება, ყველას ერთად და კერძოთ ცალ-ცალკე უნდა მიგვეტანა აქ იერიში ჩვენი იდეის განსახორციელებლად ძალების დაქსა-ცვა შეუძლებელი და შეუწყნარებელი იყო, ან არა და იგიც გაუქმებულიყო, როგორც სხვა რუსეთის დაწესებულებები.

ვფიქრობთ ეს ესეა და ერთი ქართველიც არ გამოვა, რომ არ დავგეტანხმოთ ამ თვალსაზრისში; თუმცა ეს ესეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი ჩვენმა შეუთანხმებლო-ბამ და აი, სწორეთ ამ მოურიგებლობამ და შეუ-თანხმებლობამ წარმოშვა მეორე კონსერვატორია. თუმცა ცალი ხელის ხუთი თითიც კმარის ქართულ-ელ მუსიკისთვის ჩამოსათვლელად, მაგრამ მათი მოურიგებლობა ოკეანეზედ დიდია და ამისთანა შუღლმა კი არა ერთი და ორი დიდი კოლტურული საქმე დაასამარა. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ბიუროკრატიის ბრქალებიდან განთავისუ-ფლებულ საქართველოში მოჰყვა რუსეთის კონსერ-ვატორია: ყველგან შეიჭრა ახალი სიო, უძლური ამოძრავდა, ქართული ენა წელში გასწორდა, სას-წავლებელში იგი ამეტყველდა. ყველას გვეგონა და ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ეს დაწესებულებაც საერთო ჩარხის ტრიალს აჰყვებოდა, ქართველი ხელის მისწრაფებებს ხელს შეუწყობდა, ქართულ ხელოვნების აყვავებას საგნათ გაიხდიდა და დაი-სახავდა; ასე გადიოდა წლები ხოლო რუსულმა სა-მუსიკო საზოგადოებამ წარბიც არ შეიხარა, ნიხ-რიც არ შესცვალა და ერთხელ აღებული გეზი დღეის აქამომდე თავ აღებული მიაქვს. აი, კიდევ დაინიშნა ამ კონსერვატორიის გამგეთ ქართველიც, გვეგონა ყველას ეხლა მაინც მიეცა გასაქანი ქარ-თულ მუსიკასაც, მოზარდ თაობასაც, მაგრამ სულ ამოა, რუსული სამუსიკო საზოგადოების მიერ და-არსებული კონსერვატორიის კედლები ისეთი მზრუ-ნელობითა და შორს გამჭვრეტელობით აღმოჩნდა აგებული, რომ ქართველმა ხელმძღვანელმა აქ ვერა გააწყურა და თავისუფალ საქართველოში რუსული კონსერვატორია ძველბურთი წესწყობილებით და-რჩა და განაგრძობს არსებობას. არც ქართული ენა, არც ქართული მუსიკის ისტორია, არც ქართული ეროვნული სიმღერების განსაკუთრებული თვისე-ბების აღწერა, გამოკვლევა და მათი მეცნიერუ-ლად დამუშავება, დასაბუთება—აქ ჰქაჰანებთ არა ისმისო, პირ იქით აქ შეადგარეს თავი ისეთმა პი-რებმა, რომლებიც იქამდისაც კი კანდიდებო-დნენ, რომ ამ სასწავლებელში ქართულ მუსიკას მხოლოდ განცალკევებულ კათედრას შეთავაზებ-დნენ და სხვა არაფერს. სასწავლებლის გაქართუ-ლებაზედ ზომ დაპარაკიც არ შეიძლება; დღემდის აქ არც კი უფიქრიათ რამე ქართული სახელმ-ძღვანელო დაიბეჭდოს. ამა თუ იმ საგნისა, ქართუ-ლი სამუსიკო თარგმანების გამოშვება ზომ არც კი არავის მოსდის აზრათ; აქ „რუსლანსა და ლიუდ-მილზედ“ უფრო დიდი სულის კვეთებაა, ვიდრე გუროლ „ახლესასა“ და კახურ „ზამთაროს“ მართლ წერაზედ. რასაკვირველია, მთავრობა ვერ შეური-გდება ამისთანა სასწავლებლის არსებობას, რომე-ლსაც საქართველოს სამტოთა ხელისუფლება უხვათ ასაზრდოებს მშრომელი ხალხის ოფლით და გადა-უწყვეტია მისი რეორგანიზაცია.

საქართველოში რუსული სამუსიკო სასწავლე-ბლის ამისთანა მიდრეკილებამ, გარჯილობამ და საქმიანობამ მისცა ალბათ საბაბი ერთ ჯგუფს და-ეარსებისა სამუსიკო საზოგადოება, საზოგადოება,

გაზეთი „სტრიგუნა“ ღირს

თმობად 1,250,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 50,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10—84 — ფოტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი

1 გვ. 250,000 მან. წინასწარი

4 „ 200,000 „

საგამომცემი განცხადება

1 გვ. 2,500,000 მან.

4 „ 2,000,000 „

რომელიც ნამდვილი ქართული ყოფილიყო, გაეხ-სნა მასთან კონსერვატორია და გაეჩაღებინა ქარ-თული სულით ჩადგმული სამუსიკო სწავლა-განათ-ლება.

განზრახვა მათი სიმპატიურია, მაგრამ შეს-ძლებდა კი ამისთანა საქმიანობას ეს ჯგუფი ეს ვერ გაითვალისწინეს ხელმძღვანელებმა. გარემოება კი განზრახვის სისრულის მოყვანაში ხელ უწყობდა; ტფილისში 1903 წლიდან არსებობდა „ფილარ-მონიული საზოგადოება“; თუმცა „ფილარმონიულ საზოგადოებას“ არ ჰქონდა წინ მეტყრებული სი-ტყვა „ქართული“, მაგრამ მთელმა საქართველომ კი იცოდა, რომ იგი იყო არა „ფილარმონიული“, არამედ „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, (როგორც ერთი დამუშავებულითაგანი ამ საზოგა-დოების წესდებისა, უნდა ვსთქვა, რომ სიტყვა „ქართული“ ამოშალა წესდებიდან გუბერნატორმა სვენიმმა „რომელმაც თვით საზოგადოების დაარსე-ბასაც კი აღმაცერად შეჰხედა.) ქართულ ფილარ-მონიას ჰქონდა თავისი სამუსიკო სკოლა, ოცის წლის განმავლობაში საზოგადოება ლოდილობდა, საცოდავით მიმძღრა ვარსკვლავით ბეჭტა-ვდა.

თუმცა მისი ცოდვილი სული მიწას ამძიმე-და, მაგრამ რაკი „ქართული“ იყო, ამ საზოგადოე-ბას ქართველთა შორის ასე თუ ისე სიმპატიაც ჰქონდა მოპოვებული, რის წყალობითაც მას, რო-გორც კერძო პირებისაგან (რასაკვირველია ქარ-თელებისაგან) აგრეთვე ყოფილ სათავად-აზნაურო ბანაკიდან არა ერთხელ და ორჯელ მიუღია მატე-რიალური დახმარება. აი ეს ჯგუფი ერთი დროიდ-გან ჩაუდგა ფილარმონიულ საზოგადოებასა და სკოლას სათავეში. არ ვიცით რომელი მთავრობის დროს დაიწყო ნიადაგის მომზადება ფილარმონიის სამუსიკო სკოლის კონსერვატორიად გარდასაქმნე-ლად, ჟორდანისა, თუ სამტოთა ხელისუფლების დროს, ხოლო ეს კი ვიცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს პეტრე დიდის ქებაზედ უმწვეფი ფილარმონიის სამუსიკო სკოლას ამშვენებდა წარწერა „მე-2-ე სა-ხელმწიფო კონსერვატორია“.

რასაკვირველია, ყველას ეოცებოდა ორი სპე-ციალური, ერთი და იგივე ტიპის სასწავლებლის არსებობა პატარა საქართველოში, ზოგნი კიდევ ოუნჯობდნენ და ამბობდნენ: აჰა, თუ ქართველი ხალხი მეორე იტალიელებათ არ გადააქციონო. უფრო კი საზოგადოებასა და ქართველი ერის პირ-ვარამდე მეთვალყურენი, მომტრიალნი და ახლო-მიდგომნი მეორე კონსერვატორიის წარმოშობას იმით ახსნიდნენ, რომ ორი გემი ერთ ტბაში ვერ მოთავ-სდნენ და ცალკეცალკე ეტრავება მოურდათო; და როცა ეკითხებოდნენ განათლების კომისარიატთან არსებულ „მუხოს“ გამგეს, ჰპირს მეორე კონსერვა-ტორიის გახსნისას, იგი უპასუხებდა: ერთსაც უნდო-და დირექტორობა და მეორესაცაო. დაკვირვება აქ არ არის საჭირო და აქ ნათქვამიდან ადვილად მი-ხვდება მკითხველი, რომ ეს ორი გემი არც ისე დიდი დრედნოუტები არიან, რომ ვერ მოთავსებუ-ლიყვნენ ერთ ტბაში და ქართული მუსიკის მეთა-ქნეების შუღლი და მოურიგებლობა ეხლა ყველასა-თვის ცხად-ყოფილ შეიქმნა. ამ ნაირად ქართული ფილარმონიული საზოგადოების წესდება აგებული იყო დემოკრატიულ ნიადაგზედ, უნდა შეიქმნას მსხვერპლად უაზრობისა და მოუფიქრებლობისა, რომელიც ვითომდა „ქართული სამუსიკო საზოგა-დოების“ სახით დღეს თუ ხვალ უნდა დაიხუროს და გაუქმდეს.

ეხლა ვიკითხოთ: ჰქონდა აზრი განთავისუფ-ლებულ საქართველოში „სამუსიკო საზოგადოების“ დაარსებას, როდესაც სამუსიკო ანბანის გავრცელე-ბა მშრომელ ხალხში მთავრობისათვის ისეთივე სა-ზრუნავი და საუაღდებულოა, როგორადაც ანბანისა და წერა-კითხვის გავრცელება?

მოიკლეს ქინი, გაიხსნეს მეორე კონსერვატო-რია, ვითომდა ქართული, მაგრამ რა იყო აქ ქარ-თული. აღმოჩნდა ისეთივე უნიათო, უძლური გან-ზრახვებში და მასთან უნიადაგო, როგორც პირ-ველი

უღმობელია ბუნების კანონი, უნიადაგოთ, უაზროთ გადადგმული ნაბიჯი თუ დაწყობილი საქ-

მე აუცილებელი ადრე თუ გვიან ისჯება; აქაც პა-ტარა საქართველოში უაზროთ მეორე კონსერვა-ტორიის გახსნა ლოგიკურ დასკვნამდე უნდა მისუ-ლიყო და აკი მიდას კიდევ; როგორც ზემოთ ვსთქვით.—მთავრობას გადაუწყვეტა იგი დახუროს და შეუერთოს პირველს და ერთხელ და სამუდამოთ მოუღოს ბოლო გაუგებრობასა და უაზრობასა.

ესეც კი უნდა ითქვას: იმავე მთავრობამ დარ-თო ნება გაეხსნათ ტფილისში მეორე კონსერვატო-რია, თუ შარშან მეორე კონსერვატორიის გახსნა საჭირო იყო, ნუ თუ წელს იგივე კონსერვატორია აღმოჩნდა მეტ-ხორცით? ან არა და რათ ივტებდა მეორე და არა პირველი? ჩვენის აზრით კი, ერთი-ცა და მეორეც უნდა დახურულიყო, როგორც ქარ-ველი ხალხის ცხოვრების პირობებთან შეუფერებე-ლი დაწესებულებები და მათს ნატამლობაზედ უნდა აღმოცენებულიყო იმისთანა სამუსიკო სასწავლებე-ლი, რომელიც გამოეხმურებოდა ქართველი ხალხის სინამდვილეს.

საერთოდ კი, რა-კი საქართველოში სამუსიკო სასწავლებლების რეორგანიზაცია ხდება, ამიტომ ძირიან-ფესვიანათ უნდა შეიცვალოს მათი პროგრა-მაც ერისა და საზოგადოების ცხოვრებასთან მჭიდ-როთ შეკავშირებით და შეფარდებით; ამ მოსაზრე-ბით ყოველივე სიმპატი და ანტიპატი, ამ მიჯი-რება-ნათმამამობით, მეგობრობით განდევნილ უნდა იქმნას; სწორეთ. ესა ლუპავს ყველა ქართულ საქმეს, ეს არის ჩვენი უზედურება და, თუ გნებავთ, ცუდი ზნეც, ცუდი ჩვეულებაც. ვილიოტინაზედ დასასჯე-ლად არვინ მინდა კი გამოვიყვანო, მაგრამ ცუდმა ზნემ, ცუდმა ჩვეულებამ, ყველა საქმეში პირველო-ბის სურვილია, უპირატესობამ, ქიშპობამ და საზო-გადო საქმის აბუჩათ ადგებამ ჩააქრო, ჩაანელო და იქნებ კიდევ სამუდამოთ დაასამარა ქართულ-უნი-ვერსიტეტთან სამუსიკო კათედრის დაარსების შე-სახებ ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ ვერც კი ვისარგებლეთ ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა ამ „შუამდგომლობისადმი სიხარულით“ შეგებებით. და, იმის მაგიერ, რომ ვინმე ლექტორი დაგვენიშნა მაინც იმის-და საცდელათ თუ რა ფორ-მას მიიღებდა ეს კითხვა, შეუდექით ერთმანეთის მხილებასა და ქეჰვას, თუ ვინ იყო მომზადებული და ვინ არა-სრული წლოვანი მუსიკოსნი გვპირდე-ბოდნენ,—შუამდგომლობით დიდ საქმეს ასამარებდნენ. ხოლო მოქალაქობრივი გაბედულობა კი ვერ გამოე-ჩინათ, რომ სამუსიკო კათედრის მოწყობა ქართულ უნივერსიტეტთან მიენდოთ იმავე უნივერსიტეტის პროფესორებიათვის. ყველა ლექტორობას ოცნე-ბობდა, ყველა ხელს აფარებდა, ყველა ეპოტინებო-და, ამიტომ იგი არავისთვის გვემეტებოდა. მეც მიღვეს ამ სამწუხრო საქმეში წილი. ამ ისტორიულ საღამოს სხდომის მოგონება ცოტა ჩემს სინიღისსაც გაჰკრავს ხოლმე, მაგრამ ისინი კი უნდა უფრო წითლდებოდნენ, ვისი ჯინიანობითაც ჩაიშალა ეს დიდი კულტურული საქმე. ასეთი დიდი იყო სურ-ვილი ლექტორობისა ქართულ უნივერსიტეტთან სა-მუსიკო კათედრაზედ.

თუ ქართველმა კაცმა ენა არ იცის, მაშ რო-გორ უნდა სდგომოდან ან უდგეს სათავეში ქართულ სასწავლებელს? ეს ჩვენ ვერ გავგვიგია; მაგრამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ყველაფერი მოსალოდნელია.

და აი, ამისთანა მოულოდნელ სასწაულების თავზე ასაცდენათ დასჭირდება კონსერვატორიის სარეორგანიზაციო კომისიის დიდი სიფრთხილე, რომ ესა თუ ის საგანი არ ჩაბარდეს ქართულ კონ-სერვატორიაში ენის უფეს და მოუშვადიდებლს და მით ერთხელ კიდევ არ გახადოს ეს ერთნაირი ქარ-თული ხელოვნების კერა ჩვენ სატირლად და სატ-კივარად და ქართველი ხალხის კულტურისა და პროგრესის მეტხორცად.

ი. კარგარეთელი.

ახალი ამბები


საქონლის მანეთი 8 ივლისისათვის განსაზღ-რულია 2,738.800 მანეთის.

— 7 ივლისი „არკო“-ის ბათუმის განყოფილე-ბის მიერ გაიგზავნა ინგლისში გემ „ფრიდო“-ზე 15 ბოქა ჯგაბრი, 4338 ტყავი სხვადასხვა საქონ-ლის, 1170 ცალი თხის ტყავი და საფრანგეთში 608 ფუთი ფრიზინეტი.

საზოგადოება არკოსი მოლაპარაკებას აწარ-

მოებს ტფილისის ტრამეისთან ტენიკური მოწყო-ბილების საგნების მიწოდების შესახებ.

— ურთიერთ დამხმარე გლეხკომები. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა წარუდგინა საქ-სახ. კომსაბჭოს გასავლის წესსა საქართველოს მა-შტაბით გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ორგანიზაციის მოსაწყობად. ჯამი აღნიშნულია 37 მილიარდი მან. ა. კ. ბონები. კომიტეტის ორგა-ნიზაცია მოეწყობა ექვსი კვირის განმავლობაში.



უ შ ა ლ ე

გენიანობის მეფე მწერია.
ვიცი,—ჩემს თავზე მაქვს გამოამაგლობა.
ცხელ შემოხედვის ერთ ეპიზოდით
მე შემინახავს შთამომავლობა...

როდესაც სამხრეთის ცეცხლის გვირგვინად
მზე დაადგება, და ჩრდილი რად ღირს?
ამ დროს მე სული მზეში მყავს ბინად
და ვისმენ ყვირის მამალ შუადღის.

მე აქ მოვედი სვედის სატყეხნად;
ქვეყნის აღაზრცე დავჩრები მგონი...
მწამს: ალალ ბედზე ვავჩნდი ამ ქვეყნად
და სტყუის ჩემზე ქორიკონი.

ბებერი მიწა დადგება ყალბზე,
ფოლადის სუნთქვით იქნება მივრალი
და პანაშვიდებს დავარდმო ხალხზე
ვიცისრებ მე და მზის ხერხემალი.

დავით დოლიძე.

სოფელი საგვანჯირო მდებარეობს დაბა აბაში
და მდინარე აბაშის შუა მშენიერ ადგილას. ამ
სოფელში არსებობს კოპერატივი „ქვეყნის თვლი“,
საიდანაც მცხოვრებლები სარგებლობენ საქონლით
—დაკლებულ ფასებში...

არსებობს აგრეთვე ამ სოფელში მთლიანი
შრომის სკოლა, რომელიც შესანიშნავია მრავალ
მხრივ, მაგალითად თვით სკოლის შენობა მშვენი-
ვრად მოწყობილია, ეზო ირგვლივ შემორჩენილია
საუცხოვრო და შიგ კი გაშენებულია ბაღი, რო-
გორიც ამ ხუთ-ექვსი წლის განმავლობაში არ ღი-
რსებია ამ სკოლას.

სკოლიდან ნახევარ ვერსის მოშორებით მდი-
ნარე აბაშის პირას არის აგრეთვე შექმნილი, საბა-
ვშო ბაღისათვის ადგილი, ზომით ქცევა ნახევრა-
მდი.

საბავშვო ბაღის ეზოში ზაფხულის განმავლო-
ბაში შესაძლებელი არის მოეწყოს სკენა, სადაც
დრო გამოშვებით შესაძლებელი იქნება წარმოდგე-
ნების დიდება, რომლის შესახებ ამ რამოდენიმე
კვირის უკან ადგილობრივ ინტელიგენციის ჯგუფმა

სოციალური პოლიტიკა

კოპერაცია არის საფუძველთაგანი იმ მშრო-
მელ მასის კეთილდღეობის, იმ მშრომელ ხალხის
ბედნიერების, რომელიც განაწილებს იყო ბურჟუა-
ზიისა და ჩარჩ-საქელებიანებისაგან. კოპერაცია
აღმოცენდა და განვითარდა მაშინ, როდესაც მშ-
რომელმა მასამ თავისი ხმა აღიმალა მწავრულე-
ბის წინააღმდეგ.

კოპერაციის დანიშნულებათაგანი არის რი-

წის პარველიაგია უადრესადაა განვითარებუ-
ლი, მიწის მუშაკი კერძო მესაკუთრის და
წვრილ მიწათ-მფლობელობის (სტიქტით არიან
გამსჭვალულნი, იქ გლეხ-კაცობა მიწის სფიცა-
ლიზაციისაკენ, ან გლეხურ სასოფლო-მეურ-
ნეობისაკენ კი არ მიიღვრის, არამედ მიიწევი
დაქვემდებარება დანაწილებლად.

რუსეთის სინამდვილეში დიამეტრალად
საწინააღმდეგოდ ერთი იყო გადამდიდი. ახ
მილიტანია მშრომელი გლეხ-კაცობა ერთსუ-
ლდენად იბრძოდა მიწის სფიცალიზაციისათ-
ვის. მიწა და თავისუფლება!—აი რა იყო მისი
სამომავლო ლოზუნგი. მაშინადაც, რუსი
„მუშაკი“ სრულებით არ იყო ანტიბურჟუა-
ლური და კანტონ-რევოლუციონური გლეხის
მარტყმელი. მშრომელი გლეხი ებრძოდა ფეო-
დალ-მემაჰულებს, მდინარეს და ამავე დროს
ბურჟუაზიასაც. რომელიც მიწის განსჯადღე-
ბის იდეის მოხსნულ მტერს იყო.

სოციალისტური და რევოლუციონური
ფსიქოლოგია რუსეთის გლეხ-კაცობაში შექმნა
რუსეთის განსაკუთრებული პირობებმა. რე-
გორე ვიცით, თუკი მიწათ-მფლობელობას
რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. რუსი
გლეხი არ ეწეოდა დამოუკიდებელ სასოფლო
მეურნეობას. მთელი სოფელი, მთელი თემი
აქმუშავებდა მიწას, საერთო ძალ-ღონით და
ერთხანის გეგმით. კლექტორ აგრარულ
მეურნეობამ ბუნებრივად შექმნა და განაპტე-
რა რუსეთის გლეხ კაცობაში მიწის სოციალი-
ზაციის, საერთოდ — სოციალისტური იდეა-
ლოგია.

აღსანიშნავია, რომ ნაროდნიკულ-ესერუ-
ლი მიმართულება ამ ნიადაგზე იყო აღმდგე-
ნებული. ჩერნიშევსკი, ჭერგინი, შიხაილესკი
და ლავრენკო ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას,
რომ თუკი მიწათ-მფლობელობა არის ის სა-
ფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მშა-
ვალ სოციალისტურ საზოგადოების მტკიცე
კედლები, თვით კარლს მარქსი 1883 წელს
ნაროდნიკულ მ. მართულების ცნობილ თეორე-
ტიკოსს სწერდა: თუ ვერაბაში პროლეტარია-
ტმა ძალა-უფლება ხელთ იგდო რუსეთში თუ-
მომის ისტორიულ პრეტენსიის მიერ მოხმდამ-
დე, მაშინ კომუნისტურ წყობილების გამო-
სახველად წარტილად რუსეთში თუკი მი-
წათ-მფლობელობა შეიძლება გახდეს. ანალო-
გიურ აზრს გამოთქვამდა მარქსი უფრო ად-
რე, 1877 წ. „Отечественные записки“-ს რედაქ-

ციონის განცხადებით საღმრთო კომისიის
თავმჯდომარეს, მაგრამ არ ვიცი, განცხადება
რომელ არქივში ინახება, საჭიროა ამ სოფლის ინ-
ტელიგენციამ და საღმრთო კომისიამ გაახი-
ლოს თვალი, მოკიდოს ხელი აღმშენებლობითი სა-
ქმეს და მით მოუშალოს ნიადაგი მომავალ თაო-
ბას.

ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ხშირადგვს
მის, რომ ჩვენთვის საბავშვო ბაღი სრულიად უსარგე-
ბლო არის—და გულ-გრილად უყურებენ მას. ჩვე-
ნი ვალია, მოწინავე ამხანაგების,—დავარწმუნოთ
ხალხი სინამდვილეში, აღმოვჩვენოთ მისი გულიდან
უსაფუძვლო შიში და იკვირობა, მოვკიდოთ ხელი
საქმეს და უჩვენოთ სხვებს მაგალითები, გვეყოფა
ძილი—დროა გამოვხეიზლდეთ.

იმედია ამ სოფლის საბავშვო ბაღის გაშენების
საქმეს ადგილობრივი აღმასკომიც ყურადღებას მი-
აქცევს და ხელს შეუწყობს მის სისრულეში მოყვა-
ნას.

პლ. ჯვარიშვილი.

ვიან ფასებში მიწოდება მომხმარებელთათვის სა-
ქონლის. ამ დებულებით სულდგმულობდა კოპე-
რაცია ჯერ კიდევ საშინელ რეაქციის დროს და
ესლა მით უმეტეს ეს დებულება უფრო სისწორით,
უნდა იქნას წამოყენებული, რადგანაც ჩვენი სახე-
ლმწიფო არის სოციალისტური და კოპერაციის
აღორძინებაში დაინტერესებულია მშრომელი მასის
ხელისუფლება.

ციხიდან წერილში. *) რუსეთის უღმრთო
სინამდვილე, ცხადია, იძულებულს ზდიდა
მარქსს გადაეხვია ორტადმქსალი მარქსიზმის
პრინციპებიდან.

რუსეთის „თავისებურ“ სოციალ-გლეხ-
მეურნე გიგანტებმა განსაკუთრებული ტონი და
რად კალი შინაარსი მისცა მუშათა რევოლუ-
ციონურ მოძრაობას. უკვევლია, რუსეთის რე-
ვოლუციის შინაშენება ბურჟუაზიულ ელფე-
რისაგან არსებითად განსხვავებულ მომენტე-
ბით ახსნული უნდა ყოფილიყო. ეს ახგ მონ-
და, რუსეთის პროლეტარული მოძრაობის ქა-
რისმ-ლმა იმთავითვე მიიღო სოციალისტური
ხასიათი. 1905—6 წწ. რევოლუცია, რომელიც
„იყო რუსეთის გაგვრდიმელების შედეგი“ **),
არ იყო ბურჟუაზიული მოძრაობა გარეშის
წინააღმდეგ. მისი მთავარი დოჯი ერთხა და
იმავე დროს მიმართული იყო როგორც მდ-
ნარქსიზმის, ისე თვით ბურჟუაზიის წინააღმ-
დეგ აძირკმ უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წ. რე-
ვოლუციის დინამიკა იყო პროლეტარული და
სოციალისტური შინაშენების.

ბ. ლევი, სოციალიზმის ცნობილი ფრანგი
ისტორიკოსი, სწერდა 1905 წ. რევოლუციისაზე:
„გადატრიალება, რომელსაც სხდომებს მაზ-
დინოს მის (რუსეთის) ზალხმა, სრულ გზით არ
ჰგავს არც ერთ იმ გადატრიალებებს, რომელ-
ზეც დედამე ნაცადია მსოფლიოს მიერ... მსო-
ფლიო მნიშვნელობა და განსწრციელების უნა-
რი ამ რევოლუციისა ყველახათვის ნათელია.
მეფის 130 მილენიე ქვეყნგდმოდ ჩათრეულია
მომრადბაში. მეტად მრავალფერვანი მესვ-
რენი, სხვადასხვა რაიონები—გერმანული და
აზიის გუბერნიები: პოლონეთი, თუქესტანი,
ამიერ-კავკასია და ბესარაბია—ჩაება ერთ-
დრულ მოძრაობაში... რუსეთის რევოლუცია

*) К. Маркс и Фр. Энгельс. Письма, 237
—240. ამ წერილში მარქსი, სხვათა შორის, ამ-
ბობს: შევისწავლე რა რუსული ენა და რუსეთის
ეკონომიური ლიტერატურა, „მე ბივედი ასეთ და-
სკვნამდე: თუ რუსეთი გაავრძელებს სვლას იმ გზით,
რომლითაც მიდიოდა 1861 წლიდან, მაშინ იგი და-
კარგავს საუბოლო შემთხვევას, რომელსაც ანიჭებს
ისტორია რომელიმე ხალხს კაპიტალისტური წყო-
ბილების საშინელებათა ასაცილებლად“.

ასეთია რუსეთის „სპეციფიურ“ სამეურნეო ვი-
თარების ათვისების ნაროდნიკული დიავნისტიკა...

**) Г. Плеханов. op. cit., I, გვ. 113.

ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ კოპერაციის
აღორძინების და სწორ ნიადაგზე დაყენების შესა-
ხებ, მაგრამ რეალურ ნაბიჯებს ვერ ვხე-
დავთ.

რუსეთის კომუნისტური პარტია მე-12 კრი-
ლობამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებისა
კოპერაციის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია
რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტად
დავინტერესოთ ხალხი და ჩავაბათ იგი კოპერა-
ციის აღმშენებლობაში. ხალხი უნდა დარწმუნდეს
იმში, რომ კოპერაციის განვითარებაზე მისი
ეკონომიურად გაუმჯობესობის პირობა დამოკიდე-
ბული. ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება გავა-
იფოთ ფაბრიკები და ავსწიოთ სოფლის ნაწარ-
მოებზე ფასი.

ასეთი იყო დადგენილებები მე-12 ყრილობისა
კოპერაციის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, თუ
გატარებული იქნება ცხოვრებაში. კოპერაციის
აღორძინებს და უკუშმაბრთ ცხოვრებით განაწამე-
ბი ხალხი ოდნავ მაინც თავისუფლად ამოისუნ-
თქავს.

მაგრამ ჯერ ამგვარი რამე არ მომხდარა და
კოპერაცია ისევ ძველის გზით განავრძობს სვლას.
სავალალო ის არის, რომ კოპერაციის საქონე-
ლი გაცილებით უფრო მეტს ფასობს ვინემ კერძო
დუქნებში.

ამხ. კომუნაძე ვაზ. „კომუნისტის“ ფურცლებ-
ზე მოთავსებულ მთელ რიგ წერილებში კოპერა-
ციის შესახებ მოგვითხრობს, რომ ხალხი უნდა და-
ვინტერესოთ კოპერაციით, ხალხმა თვითონ უნ-
და შეიგნოს კოპერაციის მნიშვნელობა.—რასა-
კვირველია, ხალხი შეიგნებს კოპერაციის მიზნებს.
სოფლის მასსა რეალისტიკა, ის უფრო უკვირდება
იმ მოვლენებს, რომელიც მის თვალის წინ ხდება.
ამიტომაცაა საჭირო კოპერაციის პრესტიჟის აწე-
ვა კოპერატიულ საწყობებში დაგროვილ საქონ-
ლის გაიფებით.

მეტად დამაფიქრებელი არის პარკის ოპერა-
ცია. წარსული წლის პარკზე დარჩენილი საფასი
ესლა ურიდებდა ხალხს კოპერატივიდან, ფუთზე
4 მან. 96 კაპ. ოქროთი. საფასურად იძლევიან
ფართალს. მე არ შეუდგები იმის აღნიშ-
ვნას საქმარისი არის თუ არა პარკზე ასეთ ფასის
დაწესება.

საკვირველი ის არის, რომ უბრალო ჩითი,
ნარმა, პირალი კოპერატივში ფასობს ათი შაუ-
რი, ბაზარზე კი 5—6 შაური. ყველაზე უფრო ცუ-
დია აგრედვე ის მოვლენაც, რომ ხალხს არ ეძლე-
ვა საშუალება წაიღოს ის ფართალი, რომელიც მას
უფრო ესაჭიროება უბრძანებენ: ამდენი მანეთის ეს

არის პირველი წმინდა და განსაკუთრებით პრო-
ლეტარული რევოლუცია ისტორიაში. იგი ებრ-
ძვის არა მარტო თვითმპყრობელობას, რე-
მელსაც აქვს მხდელი ადგილობრივი მნიშ-
ნელობა, მაგრამ ამახთან ერთად აგრეთვე კერ-
ძო საკუთრებას, კაპიტალიზმს, რომელიც წარ-
მოადგენს მსოფლიო მოვლენას *) მრავალი სო-
ციალისტი და რევოლუციონერი ასე აფასებ-
და რუსეთის რევოლუციის შინაშენებს და
მის საერთაშორისო მნიშვნელობას. თვით გა-
მეჩენილი მარქსისტი, რუსეთის სოციალ-დე-
მოკრატიულ პარტიის დამაარსებელი გიორგი
პლუხანოვი რამდენიმე წლის წინეთ ერთ-ერთ
კონგრესზე კატეგორიულად აცხადებდა: რუსე-
თის რევოლუცია გაიმარჯვებს როგორც მუ-
შათა რევოლუცია. წინააღმდეგ შემთხვევაში
დამარცხდება იგი. სწორედ ასედაც მოხდა,
1917 წ. თებერვლის რევოლუცია დამარცხდა,
რადგან მისი პრაქტიკული იდეალები ბურჟუა-
ზიულ რეჟიმის, რადგან იგი გადატრიალებდა
გლეხებს მიღმა არ სცილდებოდა. იმავე წლის
ოქტომბრის გადატრიალებამ მსურვალე გამო-
ძახილი ჰქოდა საზოგადოების ქვედა ფენებში,
დარბითა წრეებში, რადგან იგი გადატრიალებდა
იყო მუშურ-გლეხური ინტერესების დამცველი,
მშრომელთა კლასის დიქტატურის განმანბრ-
ციელებელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქ-
მით, რეალად, ფაქტობრივად.

ამრიგად, რუსეთის გლეხების სპეცი-
ფიურმა მომენტებმა, სუსტ ეროვნულ ბურჟუა-
ზიის გვერდით შედარებით ძლიერ პროლეტარ-
იატის აღმდგენებმა, საეკონომიკო გლეხების
ინდუსტრიალიზაციის დონემ და, ბოლოს—სო-
ციალისტურ-რევოლუციონერ იდეოლოგიამ,
მშრომელ მასის პოლიტიკურ შეგნებამ, სუბი-
ექტურ ფაქტორების მომწიფებამ ხელი შე-
უწყო, დააჩქარა და აუცილებელი მყო კაპიტა-
ლისტურ ბურჟუაზიულ მეურნეობიდან ახალ
ეკონომიურ სისტემაზე გადასვლა. ეს სისტემა
ე. წ. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სის-
ტემა, ახლ—ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
როგორც აღვნიშნეთ, რუსეთს ადრე მიუღწევია
კაპიტალიზმის განვითარების კულმინაციურ
წერტილამდე და ამ სისტემის იქით წასვლას
არ განახლებდა არსებული ობიექტური პი-
რობები.

გ. მუშინიშვილი.

(მემდეგი იქნება).

*) П. Луи. Всемирное сначение русской
революции (об. „Итоги и перспективы“).
ლუის წერილის ხელთუქონლობისა გამო, ცი-
ტატა ამოღებულია ამხ. თ. ლონტის წიგნიდან:
Азиатская социалистическая революция 11.

წაიღე და ამდენი მანეთის ესა. ეს როგორი ანგა-
როშია და როგორი წესი არ ვიცი! შიშშილ-წყურ-
ვილით განაწილებენ ზალსი 3—4 დღეს სდგას რიგში
და როდესაც რიგი მოუწევს, იმას აძლევენ, რაც
მას არ სჭირდება. ხალხს ასე თუ ისე გული აქვს
გატეხილი და ლაპარაკობს, რომ არ გვინდა ფარ-
თალი,—მოგვცენ ფული და ჩვენ შევიძენთ რაც
გვჭირდება, რადგანაც ფართლის გარდა ათასგვარი
საჭიროება არის დასაკმაყოფილებელიო.“

ვუკვირდება, რა ყველა ამ მოვლენას, ვფიქ-
რობ რომ ხალხი არამც თუ დაინტერესდება კო-
ოპერაციით, არამედ სულ არ გაიხედვს მისკენ.
ამისათვის არის საჭირო ნაწილობრივ მაინც შეს-
რულება იმ დადგენილებების, რომელსაც შეუძლია
გააჯანსაღოს კოოპერაცია. „სიტყვა სხვაა, საქმე
სხვა, შუაზე უდევს დიდი საზღვარი.“ო ნათქვა-
მია.

Chahlieo.

ბიბლიოგრაფია

კონა, საყმაწვილო დასურათებული ამბები
მოზრდილობის ანასტასია წერეთლისა; ტფლისი,
1923 წ., 80 გვ. ფასი არაა აღნიშნული.

ჩვენი საბავშვო მწერლობა ერთობ ღარიბია
როგორც საკუთარი, ორიგინალური ნაწარმოებებით,
ისე თარგმნებით. ჩვენი საბავშვო მწერლები თით-
ზე ჩამოითვლებიან, ხოლო მათი თხზულებანი რა-
მოდენიმე ათეულს ძლივს აღემატება. ამიტომაცაა,
რომ ქართველი ბავშვი, როცა კი იკვებებს წიგნის
ძალას და ინტერესს, სულ ორიოდ თვეში, თითქ-
მის ერთბაშად გადიკთხავს ხოლმე არსებულ ლი-
ტერატურას და მერე ზის ისე, ყოველგვარ სულიერ
საზრდოს მოკლებული ან და უცხო ენაზე (თუ
რცის) დაწერილ წიგნების კითხვით იკლავს თავის
ბუნებრივ წყურვილს ცოდნისა, გონებრივი განვი-
თარებისა. ეს კი ნორმალ მოვლენად არ ჩაითვლე-
ბა.

სხვაგან, კულტურულ და განათლებულ ქვე-
ნებში უფრო მეტი გულისხმიერებით ეკიდებიან სა-
ბავშვო მწერლობას. ყველას კარგად აქვს შეგნებუ-
ლი ის კუთხეები, რომ ბავშვის ნორმა და სა-
ლი გონება, ფანტაზიით მდიდარი, არაჩვეულებრივი
ინტენსივობით მუშაობს და ამ დროს შეძენილი
ცოდნა იმდენად ღრმად და წარუბოცველად აღი-
ბეჭდება მის ხსოვნაში, რომ შემდგომ ცხოვრების
საგზადად ჰყოფნის. მაშინ ერეგვა ბავშვი თუ მო-
ზარდი სწორ აზროვნებას და თავის პატარა ფიქ-
რების ლამაზ და მართებულ ფორმებში ჩამოყალი-
ბებას, ამიტომაც მას ასეთს კულტურულ და შეგნე-
ბულ ქვეყნებში უამრავი გონებრივი საზრდოს აწვდი-
ან: სწერენ საკუთარ წიგნებს, თარგმნიან უცხოელ
საბავშვო მწერლებს, ბავშვთათვის მისაწოდებ და
დასაძლევ ფორმით გადააკეთებენ ხოლმე დიდს და
სერიოზულ წიგნებს, თანაც ისეთი ხერხითა და ოს-
ტატობით, რომ ბავშვმა ხალხისა და ინტერეს-
ით წაიკითხოს ისინი. საბავშვო ლიტერატურას
აქვს თავის კატალოგები, რომელთაც ადგენენ პირ-
ველ ხარისხიანი პედაგოგები: აქ თითოეულ მშო-
ბელს გინდ აღმოზრდულს შეუძლიან გაეცნოს, თუ
როგორი თანდათანობით და რა სისტემით უნდა
მიეცეს ბავშვს წიგნები საკითხავად...

ჩვენი კი, სამწუხაროდ, ეს გერ მიუღწეველი
იდევალდ გვეხატება. ჩვენი მწერლები უფრო ხალი-
სიანად ბეჭდავენ თავიანთ „ნიჭიერ“ ლექსთა ნა-
წარმოებს, ხოლო უფრო-გერნისა, მაინ-რიდისა თუ
ვალტერ-სკოტის ქართულად თარგმნა უფრო და-
ბალ ხარისხიანი კალმისნებზე აქვთ მიგდებული...
ამ მხრივ—არ დაველოდეთ—სახელმწიფო გამომცემ-
ლობაც არ უწევს მათ ერთნაირ, ასე ვთქვათ, ზელ-
მძღვანელობას: არ წარმართავს მათ ნიჭსა და ცოდ-
ნას იმ გზით, რომელიც უფრო შესაფერი და სა-
სარგებლო არის მათი ნიჭისა და ჩვენი საზოგადო-
ებრივობისათვის.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ყოველი
ჩვენიგანი მოვალეა სიხარულით და სიამოვნებით აღ-
ნიშნოს ჩვენი მსოფიანი მწერლის—ქ-ნ ანასტასია
წერეთლის—წიგნის „კონა“-ს გამოცემა.

წიგნი შეიცავს თერთმეტ ამბავს, სხვა და
სხვა დროს დაწერილს: უძველესი მთავანი „ოზი
გელი“ (ქართულად ნიშნავს-თითონ მოვიდო) და-
წერილია 1888 წელს, ხოლო უახლესი „ომის სუ-
რათი“—მიმდინარე წელს ეკუთვნის. დანარჩენები
კი თითქმის ყველა 1909—1915 წლებშია შეთ-
ხზული.

ეს გარემოება, ცხადია, თავის ბეჭედს ასევე
წიგნს: ყველა ერთნაირი ნიჭით და ჩლიერებით არაა
ნაწერი.

მიუხედავად ამისა წიგნი მთლიანად დიდი ხა-
ლისით იკითხება და ჩვენი ბავშვებისთვის თავისე-
ბური ნობათია უეჭველად. შინაარსით არაა შესა-
ფერისი: იგი ბავშვის (8—12 წლამდე) გონებრივი
ინტერესს უფრო შეესაბამება თავისი დიდაქტიუ-
რი სენტენციებით, ვიდრე მოზარდისას (12—14 წ.)
გინდ მოზრდილისას (14—16 წ.): უკანასკნელ ორ
კათეგორიას გეოგრაფიული, ისტორიული, ზოოლო-
გიური და მისთანა ცნობებით დატვირთული წიგნი
უფრო შეეფერება, ვიდრე ის სენტენციებით, რომელ-
ნიც ქ-ნ ან. წერეთლის ამბებშია დედა-აზრად ჩამარ-
ხული.

ამ თვალსაზრისითაც ერთი მოთხრობა — „ომის
სურათი“—მიუღებელია. მისი შინაარსი ასეთია: სო-
მეხ-ქართველთა ომი, შულავრის მიდამოები. მტე-
რი დამარცხებულია. შალიკო ცხენით დასაზვერად
მიდის. ბუჩქებში დაჭრილ მტერს მიადგება, იგი
წყალს ითხოვს, შალიკო ცხენიდან დაიხარა სასმე-
ლის მისაწოდებლად, მაგრამ... ამ დროს გაფარდა
თოფი და შალიკო დაჭრილი მუხანათურად ცხენზე
ჩამოეცა. სომეხი კი გათავისუფლებულ ცხენს
მოახტება... უმადურობა და მუხანათობა მტრისა
გულ-უბრყვილო და რაინდ შალიკოსადმი-აი ლეიტ-
მოტივი ამ „ომის სურათისა“. დამეთანხმეთ, რომ
პედაგოგიურად ასეთი აზრი სასარგებლოდ და სა-
სურველად არ შეიძლება იქმნეს მიჩნეული.

საერთოდ კი წიგნი სუბუქი, კარგი ქართულით
და ნიჭიერად არის ნაწერი და, თუ კორექტურული
შეცდომები და ერთი ილუსტრაციის ტექსტთან
შეუსაბამობა არა, ისე მთელი კრებული წყნ-დაუ-
დგემელი იქნებოდა.

ორიოდ სიტყვაც ამ ილუსტრაციებზე: სურა-
თი ვალ. სილამონ-ერისთავისა, რომელიც საერთოდ
ტექსტის შესაფერისად ასურათებს ქ-ნ წერეთლის
წიგნს; მაგრამ ერთ ადგილას კი, 13 გვერდზე, სუ-
რათი არაა ტექსტის რეპროდუქცია, იმავე გვერდზე
აგტორი სწერს: „კალოზე გაცხარებული მუშაობა
იყო, ეშურებოდენ კი ამინდს და დიდი და პატარა
საქმეს ადგა. პატარა გოგონები ღრეებით და კვეთ
ღებით კვერბებზე ისხდნენ“.

ასეთი ტექსტი, სურათზე კი რას ვხედავთ?
კალოზე მარტო ორი სული ჩანს: გლეხი და მისი
ცოლი, „ღრეჭია და კვეთს მღეჭავ გოგონებს“ კა-
ჭანება არაა. კვერბსაც ვერ ვხედავთ: არის მარტო
ერთი კვერი, რომელსაც სიმძიმისათვის ლოდი უძევს
და არა გოგონები ჟსხედან.

საერთოდ და მთლიანად ქ-ნ წერეთლის წიგ-
ნი საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს და ჩვენს
ღარიბ საბავშვო მწერლობაში იგი თვალსაჩინო
წვლილად უნდა ჩაითვალოს. ვუსურვებთ მას გავრ-
ცელებას!

B

დავეთანხმო გლინკას მშვენიერი უვერტუოის „რუ-
სლან და ლიუდმილას“ შესრულებაში—მელოდიური
სურათი არ არის ნათელი, დინამიკა პრიმიტიულია,
მეტად ჩქარი ტემპია აღებული მელოდიურ ფერე-
ბის არა სასარგებლოდ. რაც ისე უხვიათ არის გა-
ფანტული უვერტურაში. არა საკმარისი სისრულით
იქმნა შესრულებული „ლექსი“ ზაქარია ფალია-
შვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. კარგი
შთაბეჭდილება დასტოვა „ბარკალოლას და ვაკსი-
ნაილის“ შესრულებამ. იტალიურ Capriccio-ში კარ-
გათ შესრულებულ იქმნა პირველი ნაწილი გონზე-
ლერების სიმღერა“ მხოლოდ ვიოლონჩელთა თემა
უნდა ირჩეოდეს უფრო რელიეფურად. ფინალი
„Saltarello“ სრულდება უფრო ჩქარი ტემპით. მე-
ორე კონცერტს ჰქონდა უფრო სერიოზული სიმ-
ფონიური ხასიათი. უფრო ნათელი ნომრები პროგ-
რამისა იყო ჩაიკოვსკის „სიელკუნჩიკი“. (Iosse Noi-
sette) ეს არის მთელი რიგი ცალკე დამოუკიდებელ
ნომრებისა, კარგათ იქმნა შესრულებული მაგრიტა-
ნული ცეკვა, ვიტუოური ცეკვა და ვარაიცია „dansa
de la feedrgee“ და „ვალსი ცვატების“ შესრულე-
ბული იქმნა ძლიერ ნელი ტემპით. ისპანური Cap-
riccio რომსკი-კორსაკოვის ეს მთელი რიგი მუსი-
კალურ ენოზოდებისა ისპანურ სტილზე. ამ ნაწარ-
მოების ორკესტრირება განსაკუთრებულია, განსაკუ-

თრებით პირველი და მეოთხე ნაწილი. პოეტურია
მეორე ნაწილი (alborado). Capriccio-ს კარგი ფა-
ლიაშვილის მიერ მომწერა. სილამონ-ერისთავის კონცერ-
ტზე გამოვიდნენ საბავშვო ორკესტრის მსოფიოები
კრიეანოვსკი და ისუტო, რომელთაც კარგათ შე-
სრულენ რუს კომპოზიტორთა რომანსები.

პ. ბებუთოვი.

წერილი ჩამაძვის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში
აღვილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას: 1911
წლიდან ვირიცხებოდი საქართველოს სოც.-დემო-
კრაოსტთა სარეგ. პარტიაში. დღეს კი დავერწმუნდი,
რომ საქართველოს მემარცხენე სოც.-დემოკრაოსტთა
სარეგოლიტუიო პარტია არის ნამდვილი დამცველი
მუშათა ხალხისა, ეროვნებისა და ფედერალიზმისა,
რისთვისაც სრული ჩემი შეგნებით უფროდები ამ
პარტიას და მთელი ჩემი ახალგაზრდული ენერგიით
ვეცდები ვიმსახურო მშრომელი ხალხის საკეთილ-
დღეოდ.

სტუდ. ივ. წერეთელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ზემო-აგჭალის ჰიდრო ელსადგურის საბუშ-რითა საქირობა გეოდეზიური ინსტრუმენტები:

- | | |
|--|--------|
| 1. თეოდოლიტი წ. | 1 ცალი |
| 2. ნივეირი | 2 ცალი |
| 3. საზომი რტყელა (ლენტი ფოლადის სარკეებით) | 2 ცალი |
| 4. სანიველირო ლარტყა | 9 ცალი |
| 5. კუთხსაზომი (გონიომეტრი) | 2 ცალი |

წინადადება მოწოდების შესახებ წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 12
ივლისისა ზემო-აგჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსის სახელზე.
ტფილისის აღმასკომის შენობა, ველიამინოვის ქუჩა № 3.

სტოილისი ალგასოჟის საგმარტოვალს განაოფილავა განა- ოკაპით ახსადავს უვალა მოკალაჟითა საჟურალაჟოთ,

რ მ მ

1) არავითარი ძველი ნახმარი ტანსაცმელი არ შეიძლება იყოს გატანილი
ბაზარზე გასასყიდათ, თუ სათანადო დეზინფექციაში არ იქნება გატარებული,
რის დასამტკიცებლად, ყოველივე გასასყიდ ტანსაცმელზე უნდა იქმნეს დას-
მული სადინფექციო კამერის ბეჭედი, ან ქალაქის ან სამხედრო უწყების.

2) ყველა სახლების და საგატრო დასესტრუ-
ბების პატრონი ან ამგეთ ეგ ლობათ ამის გა-
მოცხადებიდან 2 კვირის განძავლობაში შეიძინონ
სანიტარული რეგულეები რფილისის ჯანმრთე-
ლობის განყოფილებაში გელიამინოვის ქ. № 3).

ამ ორივე ვალდებულების დარღვევისათვის დამნაშავენი იქმნებიან სა-
თანადო პასუხის გებაში მიცემული.

სანიტარული სამეულის წევრები: | თაბთაჟიოვილი
მდ. ვაჟაშვი.

№ 383.

1—1

სიმფონიური კონცერტები

სიმფონიური კონცერტების სეზონი
გაიხსნა სიმფონიური კონცერტების კომისარიატის
და პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის მიერ.
კონცერტები იმართება ორ ბაღში 1) ცენტრალურ
მუშათა კლუბში და 2) პროფესიონალურ კავშირთა
კლუბში. როგორც სწავს მხედველობაში აქვთ სიმ-
ფონიური კონცერტებს მისცენ დიდი პოპულიარობა
აღმზრდელობითი მნიშვნელობა და სერიოზული მი-
მართულებები, ვინაიდან თუ ექიმნიებთ მხედველო-
ბაში პროგრამის ორჯერ უკვე გამართულ კონცერ-
ტებისას ის მიძღვნილია რუსულ და ევროპიულ სიმ-
ფონიურ მუსიკის საუკეთესო სახეებისადმი. ორკეს-
ტრის სათავეში, რომლის რიცხვი აღის სამოც კა-
ცამდე სდგას სახელმწიფო ოპერის მთავარი დირი-
ჟორი ივანე ფალიაშვილი და აგრეთვე კაპელმეის-
ტერები ბრონი და ნეიმანი, მაგრამ ამბობენ, რომ
კონცერტების მომწყობთ განზრახული აქვთ მოი-
წვიონ სადირიჟოროთ კომპოზიტორი გლაზუნოვი

და აგრეთვე სიმფონიური კონცერტების ცნობილი
დირიჟორები: კუპერი, მალკო და შტეინბერგი. პირ-
ველი კონცერტის პროგრამაში შევიდა ბეთხოვენის
უვერტურა „გემონტი“ ეპოქიდან საშუალო საუ-
კუნოებში ბრძოლისა ისპანიის კოლონიის ნიდერ-
ლანდების მეტროპოლისთან ისპანიასთან და უმ-
თავრესად ფილიპ მეფესთან. უვერტურა შესრუ-
ლებული იქმნა კარგათ. ფალიაშვილმა შესძლო მო-
ეცა სწორი დახასიათება რევოლიუციონური ჯარის
ხელმძღვანელის ეგმონტის მხედრული სულის და
საზოგადოთ მუსიკალურ ვაგებით გადმოცემა ბრძო-
ლის ხასიათისა.

მშვენიერად იქმნა შესრულებული უვერტურა
რის ფინალი (ეგმონტის სიკვდილი). ბალეტი გოგო-
დმარკის ოპერიდან (რაც ძლიერ იმეზიათად იდგმე-
ბა და რაც რუსეთის და საქართველოს სცენაზე
არასოდეს არ ნახულა) შესრულებულ იქმნა ლამაზ
ნიუონსიროკით და გამოყოფილია მელოდიური
სურათი. მაგრამ არას შევთხვევაში არ შემიძლია

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუ' ხა

სტოილისიდან ბაღის		სტოილისში მოღის	
მატ. № 1	სწრაფი მოსკოვში შაბათობით	მატ. № 1	ბათუმიდან შაბათობით
მატ. № 1	სწრაფი პეტროპოლ. პარასკეობ.	მატ. № 2	მოსკოვიდან სამშაბათ.
მატ. № 1	სამშაბათ.	მატ. № 2	პეტროპოლიდან ოთხშაბათ.
მატ. № 2	ბათუმიში სამშაბათ.	მატ. № 2	პეტროპოლიდან პარასკეობ.
მატ. № 3	როსტოვში ყოველდღე	მატ. № 3	ბათუმიდან ყოველდღე
მატ. № 3	კახეთში	მატ. № 4	როსტოვიდან
მატ. № 4	ბათუმიში	მატ. № 4	კახეთიდან
მატ. № 8	ბათუმიში	მატ. № 7	ბათუმიდან
მატ. № 20	ბორჯომში	მატ. № 19	ბორჯომიდან
მატ. № 21	ბაქოში	მატ. № 21	ბათუმიდან
მატ. № 22	ბათუმიში	მატ. № 22	ბაქოდან
მატ. № 3	ერევანში კენტი რიცხვი	მატ. № 22	ბაქოდან
მატ. № 35	კახეთში	მატ. № 4	ერევანიდან წყვილ რიცხვი
მატ. № 31	ჯულფაში წყვილ რიცხვი	მატ. № 3	კახეთიდან
		მატ. № 34	ჯულფიდან კენტ რიცხვი
მატ. № 18	ბორჯომში კვირაობით	მატ. № 17	ბორჯომიდან კვირაობით
მატ. № 16	ხაშურიში შაბათობით და უქმის	მატ. № 15	ხაშურიდან კვირაობით და
წინაღობა			უქმის წინაღობით.